მასაღები

პროგრამას თან ახლავს მასაღების პაკეტი რომლებიც განკუთვნილია განმახორციელებლებისათვის, მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის / მეურვეებისათვის:

01

„პროგრამის განმახორციელების სახელმძღვანელო“ რომელიც შეიცავს მეცადინეობების სცენარებს და დამატებით მასაღებს (პროგრამაში მონაწილეობაზე თანხმობის ფორმულარი, შეხვედრაზე მშობლების მოსაწვევი ბარათების ნიმუშები, მასაღები რომლებიც მშობლებთან შეხვედრის მომზადების პროცესში უნდა იქნას გამოყენებული).

02

„მოსწავლის რვეული“ რომელიც შეიცავს სამუშაო ფურცლებს და გაკვეთილების თემატიკასთან დაკავშირებულ მოკლე ინფორმაციებს.

03

ბროშურა პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების მშობლებისათვის / მეურვეებისათვის.

კონტაქტი

პროგრამის კოორდინატორები საქართველოში:
ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
მისამართი: თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩის ჩიხი №2
ტელეფონი: (+995) 32 230 10 53
ინტერნეტ-გვერდი: mhpa.ge, ელექტრონული ფოსტა: mhpa@mhpa.ge
საკონტაქტო პირი: ეკა კავთიაშვილი, ტელეფონი: (+995) 577 46 06 77
ელექტრონული ფოსტა: ekavti@gmail.com
პროგრამის კოორდინატორები პოლონეთში: **ფონდი „პრაესტერნო“**
მისამართი: 00-023 ვარშავა, ვიდოკის ქუჩა 22/30,
ინტერნეტ-გვერდი: www.praesterno.pl,
ელექტრონული ფოსტა: biuro@praesterno.pl

ამოცანა თანადაფინანსებულია „აღკოჰოლური პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო სააგენტოდან“ მიღებული სახსრებით რომლებიც მოპოვებულ იქნა „აზარტული პრობლემების გადაჭრის ფონდიდან“ და ფონდ „პრაესტერნოს“ საკუთარი სახსრებიდან.

პრევენციული პროგრამა

კომპასი 2.0

პროგრამა მოზარდებისა და მათი მშობლებისათვის

პროგრამის შესახებ

„კომპასი 2.0“ უნივერსალური პრევენციის პროგრამაა რომელიც 13-15 წლის მოზარდებისა და მათი მშობლებისთვის / მეურვეებისთვისაა გამიზნული.

პროგრამა ეყრდნობა სარწმუნო მეცნიერულ თეორიებს რომლებიც ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების განვითარების მექანიზმების წარმოშობასა და მათ განვითარებას განგვიმარტავენ.

პროგრამის მიზანია ისეთი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შეზღუდვა ახალგაზრდებში როგორიცაა: თამბაქო, აღკოჰოლი და ნარკოტიკები. პროგრამა აგრეთვე მიზნად ისახავს მშობლების აღმზრდელობითი კომპეტენციების გაძლიერებას რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარების პროცესში შესაძლო დარღვევების პრევენციისათვის.

ULOTKA_gru 2021.indd 1
21-11-08 11:39

პროგრამის რეალიზაცია

პროგრამა შედგება მოსწავლეებისათვის გამიზნული 10 გაკვეთილისგან რომელთა ხანგრძლივობაც 45 წუთია. გაკვეთილები ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ტარდება, პროგრამის ბოლოს კი ეწყობა მოსწავლეებისა და მათი მშობლების / მეურვეების ერთობლივი შეხვედრა.

კომპასი 2.0

თანამშრომლობა მშობლებთან

მოსწავლეებთან მუშაობის ძირითადი მეთოდებია:

დისკუსიები მცირე ჯგუფებში, გონებრივი შტურმი, ჯგუფური დავალებები, სავარჯიშოები რომლებიც წყვილებში ან ინდივიდუალურად უნდა შესრულდეს, ვიქტორინები და საინტეგრაციო თამაშები.

მოსწავლეებისათვის ჩასატარებელი გაკვეთილები შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- საზოგადოებრივი წნეხი და მარკეტინგული ტექნოლოგიების გავლენა.
- ურთიერთობები თანატოლებთან და მშობლებთან.
- მხარდაჭერა და თანამშრომლობა.
- პრობლემებისათვის თავის გართმევა და გადაწყვეტილებების მიღება
- ასერტულობა.
- ნორმატიული რწმენები ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების საკითხთან დაკავშირებით.

გაკვეთილებს სკოლაში ატარებენ მასწავლებლები, დამრიგებლები ან სკოლის სპეციალისტები (ფსიქოლოგები ან პედაგოგები).

პროგრამა ითვალისწინებს მშობლებთან / მეურვეებთან თანამშრომლობის მრავალგვარ ფორმებს.

- შეხვედრა მშობლებთან (ტარდება კლასში, პროგრამის დაწყების წინ).
- საშინაო დავალებები რომლებიც ბავშვებმა და მათმა მშობლებმა ერთობლივად უნდა შეასრულონ.
- საინფორმაციო მასალები.
- მოსწავლეებისა და მშობლების საფინალო შეხვედრა.

ეს ყველაფერი იმას ემსახურება რომ ბავშვის ცხოვრებაში არსებული ორი უმნიშვნელოვანესი გარემო – ოჯახი და სკოლა ერთმანეთთან ურთიერთქმედებდეს რათა მათ ბავშვებს რაც შეიძლება უკეთესი სტარტი მისცენ ზრდასრულ ცხოვრებაში ფეხის შესადგმელად.
გარდა ამისა, ყველა ეს კომპონენტი მშობლებს ეხმარება რათა მათ უკეთ გაიგონ ცვლილებები რომლებიც მომწიფების ასაკში მყოფი მოზარდების ცხოვრებაში ხდება და გაიაზრონ ის გავლენა რომელსაც გარემო ახდენს ახალგაზრდებზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების თვალსაზრისით.